ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 32 — 18 აგვისტო — 1872 — 18 აგვისტო — № 32

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით,	გაუგზავნელად
ერთის წლისა	6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა	3 »	2 » »
სამი თვისა	1 » 75	1 » 50
ერთის თვისა	» » 60	» » 50
ცალკე ნომრისა	» » 12	» » 10

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენაზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 8 კაპ. და ასო-მთავრულებით—ასოზე ½ კაპ.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერა:

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ხატისოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакцiи газеты «ВРЕМЯ», при типографiи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით

შინაარსი

რედაქციის განცხადება.—საქართველო: ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება,—წვრილი ამბები—«დროების» კორრესპონდენცია: კახეთიდამ,—რაჭიდამ.—რუსეთი: პეტერბურღიდამ («დროების» კორრესპონდენცია), წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია,—ესპანია.—ქუთაისი — ნარევი.—კერძოობითი განცხადებები.—

ეჭვიანობა (მოთხრობა)—დასასრული—ს-რე ყანჩელისა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა «დროებაზე»

მიიღება თფილისში—რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და სიმონ მესხთან.

ახალ ხელის-მომწერლებს ივლისის პირველიდამ მიუვათ გაზეთი.

ფასი ნახევარის წლის ხელის-მოწერისა—სამი მანეთია.

საქართველო

ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება

ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან განზე უყურებდა იმ თითო-ოროლა ყმაწვილ კაცებს, რომელთაც ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ განაცხადეს სურვილი უმაღლეს სწავლის მიღებისა და რუსეთის უნივერსიტეტებში წავიდნენო. მაშინდელ ჩვენ მამებს არ მოსწონდათ, რომ მათი შვილები არ სჯერდებოდნენ იმ სწავლას, რომლის მიღება მაშინ აქაურს სასწავლებლებში შეეძლოთ. «რა გამოვა, ბატონო, იმათი სწავლით? წავლენ, რაღაც აქია-ბაქიას ისწავლიან და ჩვენ ოჯახს კი აღარ გამოადგებიანო! ჩვენ თუ რაღაც ნივერსტეტში არ გვისწავლია, რა გვიშავსო!» ასე ამბობდნენ მაშინ ჩვენი მამები. მაგრამ შემდეგში, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამ «ნივერსტდიეტამ» გამოსული ზოგიერთი ყმაწვილები ცოტა არ იყოს გამოსადეგნი შეიქნენ ოჯახისთვის, იმათ ცოტ-ცოტარათ შეიცვალეს თავის აზრი. დროებამ და გამოცდილებამ თავის გავლენა იქონია ჩვენს საზოგადოებაზე, და ახლა ძნელათ თუ ნახავთ ისეთს მამას, რომელიც, თუ შეძლება კი აქვს, არ სცდილობდეს თავის შვილის უნივერსიტეტში გამოზრდასა.

ამნაირათ მოდის ახლა ჩვენი ახალგაზდა ქალების უმაღლესი განათლების საქმესაც: ამ ერთი წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში დაიწყეს ლაპარაკი, რომ რამდონიმე ჩვენებური ახალგაზდა ქალი საზღვარ გარეთ აპირებს წასვლას, უმაღლესი განათლების მისაღებათაო. რადგანაც რუსეთში და ჩვენში საზოგადოთ ქალებს უმაღლესი განათლების გზა სულ არა აქვთ, ამის გამო, რუსეთის და სხვა ქვეყნების ქალების მაგალითით, ციურიხში აპირებენ წასვლას, სადაც ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება აქვთო.

მის მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულით მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვითი და ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე. «თფილისის ნიგილისტკებიო! მოდას აჰყოლიანო!» ამბობდნენ ერთნი. «ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და ვინ ექიმიო?! პასიოანი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო!» ამბობდნენ მეორენი.

როდესაც კაცი იმისთანა საზოგადოებაში სცხოვრებს, რომელიც სდევნის ყოველ ახალ ნაბიჯს, ახალ რომელსამე მოვლენასა და აზრს, თუ დიდი ზნეობითი ძალა არა აქვს ადამიანს, ძნელათ შეუძლია იმას რომლისამე ახალი საქმის ხელის მოკიდება და დაწყება. ღვთის მადლით, ამისთანა პირი ჯერ-ჯერობით ერთი მაინც აღმოჩნდა ჩვენში: მკითხველმა იცის, რომ ამ ერთი თვის წინათ თფილისიდამ ნაცვალოვის ქალი წავიდა ციურიხში, უმაღლესი სწავლის მისაღებათ, და ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ამავე გზაზე დადგომას რამდონიმე სხვა ქართველი ქალიც აპირებს.

ამისთანა ამბავი ჩვენს დარბაისელ მამებსა და დედებს, უეჭველია, არ ეპამნიკებათ და ეუცხოებათ. იმათ არც კი გაუგონიათ, რომ ახალგაზდა, გასათხოვარი ქალი თავის კერას სტოვებდეს და სადღაც უცხო ქვეყანაში უმაღლესი განათლებისათვის მარტოთ-მარტო მიდიოდეს, და ახლა კი ამას თავის საკუთარი თვალებით ხედავენ! როგორ არ იფიქრებენ, რომ ეს მეორეთ-მოსვლისა და ქვეყნის უკულმა დაბრუნების ნიშანი არისო?

მაგრამ ნუ შეშინდებიან ჩვენი დედ მამები: დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მოვლენა მეორეთ-მოსვლისა და ქვეყნის უკულმა დაბრუნების ნიშანი კი არ არის, ეს არის სი-

ფელეტონი

ეჭვიანობა

მოთხრობა

VI

ერთ გაზაფხულის საღამოს, როცა ბუნება იშლება და მკვდარი ზამთრის პირიდგან ახლათ ცოცხლდება ყოველი სული და კაცი ვერ ძლება ხოლმე სუნნელებით დაბურვილი ჰაერის ყლაპვითა,—ზულგეიდ გამოვიდა უჩარსაოთ მაისის ვარდივით გაფურჩნული კარებთან, და დაიწყო აქეთ-იქით შიშით ცქერა, თითქო საქურდლათ მიდიოდეს სადმეო, და რაკი ვერავინ დაინახა ახლო-მახლო, შეირბინა პარვით იქვე ახლო გვერდით მდგომ უბრალოთ დახურულ სახლში, რომელშიაც მუშაობდა იაზიღ-გულია ბამბის გამრჩევ მაშინაზე, და ტკბილის ხმით უსაყვედურა:

— იაზიღ-გული! რატო გუშინა და დღეს არ მოდიხარ შინ პურის საჭმელათ, და მაგზავნინებ ხოლმე აქ ბავშვების ხელით?

იაზიღ-გულიამ შეჰხედა გაშფოთებულ და ატაცებულ ზულგეიდას, ცოტა შეკრთა, რომ იმისა და ზულგეიდას მეტი არავინ იყო იმ სახლში; არა უპასუხარა და დაუწყო საწყალ კამბეჩებს უმოწყალოთ ცემა, თითქო იმათ რამე ბრალი აქვთო.

— ქირიმე, იაზიღ-გული, პასუხსაც არ მაძლევ? ამოიოხრა სავსე გულით იაზიღ-გულიამ და უთხრა ზულგეიდას:—სჯობს, აქედან შინ წახვიდე, რომ არავინ დაგინახოსო.

—ჰო, რასაკვირველია, რო მე არა ვტყუოდი ჩემ ფიქრში, რომ შენ ჩემი ამდენი ოხვრა-ტანჯვა არათ მიგაჩნია. იაზიღ-გული! ქირიმე, ნუ იქნები ჩემთან ორგული, ამოსთქვი რამე, მიპასუხე და მეენდე ჩემ სვინიდისს, სიყვარულს და ცხელს, სავსე გულსა!

— ზულგეიდ, მარტო ამას გევედრები შენა, საწყალი კაცი ვარ, ჩემი გარემოება შენ კარგათ გაგეგება და იცი, რა გზაზედაცა ვდგევარ; ნუ ჩამიდგები გზაში, განმათავისუფლე, ღვთის გულისათვის....

— ჰკითხე ჩემს გულსაც, რა ლოდი აწევს, იაზიღ-გული, რა წვა და დაგვაშია. მართალია, არ არის სათქმელი, მარამ მე ძრიელ უძლური ვარ აქა...... უცხო ქვეყანაში, დაუდევარ ქმართან. მამეცი ხელი, ამამიყვანე ამ ცეცხლიდამ.—ვიცი, და ძალიანაც კარგა მესმის ჩემი ვალი ქმართან და ჩემ გერებთან, მარამ ნუ დამძრახამ, ნუ მკრამ ხელს ჩემ დასაღუპავათ...... ნუ იღებ ჩემ ცოდოს.... მიყვარხარ......

ამ აღმტაცებელ ლაპარაკში მივარდა ერთბაშათ უეცრივ ეს გაშფოთებული ქალი თავჩაფიქრებით მდგომს იაზიღ-გულიას, სტაცა იმის ხანჯალს ხელი და, მინამ ის მოიფიქრებდა ამ გარემოებას, აბჭყვრიალა ზულგეიდამ ამოღებული ხანჯალი და დაიბჯინა გულზე.

— მე ვარ შენი მკვდარი, სიკვდილსა შემიძლიან მივცე თავი შენთვის, იაზიღ-გული, ისე, რომ ერთი ოხვრაც არ ამოვიღეს ჩემი გულიდან. უთხრა თითქმის ჩურჩულით სიყვარულით მორეულ ზულგეიდამ,—მაგრამ, სინამ გაათავებდა ამ სიტყვებს, იაზიღ-გულიამ იხტუნა ვეფხვივით ზულგეიდასკენ, სტაცა ხელი ხანჯალს, მიაგდო შორს, დაუვარდა სიყვარულის ძალას, გადაჰხვია მშვენიერ ზულგეიდას მხარ-მკერდს ხელი, და ჩეეკონა იმას ალისფრათ აყვავებულ ტუჩებში.................

VII

გაიარა რამდონმამე სიყვარულისა, ტკბილი ალერსისა და სიამოვნების დღემ. ბოლოს მოვიდა მაჰმადა სახლში; ზულგეიდა მიეგება მას დიდი საყვედურით. ამანაც გაიმართლა როგორც იყო დავიწყებულ ცოლთან თავი და მიჰყო ხელი გაზაფხულის ქირნახულის მოვლასა. ამოობაში მაჰმადამ ცოტა ცვლილება შენიშნა ზულგეიდაში; ყურადღება მიაქცია ცოლის ქცევას, რადგანაც ეჭვში შევიდა; იმას მეზობლების ჭორებიც ზედ დაემატა, და აიყარა მაჰმადამ იაზიღ-გულიაზე გული.

ამიტომაც მაჰმადამ განიზრახა თავიდამ მოშორება იაზიღ-გულიასი: დაუქირა იმას თავის სახლის პირ-და-პირ ერთი პატარა ოთახი, გაამართვინა საფეიქრო, რადგანაც ჯულფა, ე. ი. ფეიქარი იყო, და დალოცა ამ ხელოსნობაზე, რომლითაც დაიწყო იაზიღ-გულიამ თავისი რჩენა დღე-დღეობით.

VIII

გაზაფხულის წყლების ადიდების დროს, როცა მუშაკალხი დღე და ღამე ებრძვის წყალსა და ჯეჯილს, შეიყარა რამდონიმე სოფელი ერთათ და წავიდნენ მდინარე არაქსზე, რუს გამოსაყვანათ სარწყავებისათვის.

ასამდინ მუშა კაცი მიადგა ერთ ალაგს, საცა იწყობოდა ერთი დიდი რუს სათავე; ზოგიერთებმა უეცრივ მოჰკრეს თვალი ერთ რაღასაც, შუა რიყეზე გამორიყულს. შეგზავნეს ორიოდ-სამი მცურავი და შეიტყვეს, რომ ეს გამორიყული რაღაც არის კაცის სხეული დამხრჩვალი წყალში და ფრინველებისაგან პირ-მოჭმული, დაჭეჭქილი და ცუდათ გაბერილი სიცხისაგან. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ფეხზე მობმული აქვს თოკით ერთი ყიზილბაშური აბა (წამოსასხამი). დაუწყეს ძებნა, გამოძიება: ვინ არის, ან რა ბედისწერამ მოიყვანა ეს საწყალი ამ ალაგას.

ბოლოს სასამართლოებში გამოცხადდა, რომ ერთ ახლო-მახლო სოფლიდან დაიკარგა ერთი კაცი და ვერა პოულობენ. დაიბარეს იმ სოფლიდან რამდენიმე კაცი სხეულთან და უჩვენეს. ამათ იცნეს და გამოაცხადეს, რომ დამხვრჩვალი არის იმათი სოფლის ყიზილბაშელი ჯულფა, სახელად იაზიღ-გულია.

IX

აქედამ ჩვენ ისევ ცოტა უკან დავბრუნდეთ. რაკი მაჰმადამ დააბინავა ცალკე იაზიღ-გულია, ამან თავის უწინდელ ალასთან მოხშირებით სიარულს თავი დაანება და მორიდება დაიწყო. მაგრამ რა ჟამს ხანდისხან მოჰკრავდა თვალს მშვენიერ ზულგეიდას, აუდუღდებოდა ხოლმე სიყმაწვილის სისხლი, მოუგროვდებოდა ძველი დარდები და მარტოობისა გამო მისცემდა თავს სხვა და სხვა ფიქრებსა; ეძავებოდა აღელვებულ სიყვარულს, ეკითხებოდა თავის სვინიდისს, ებრძო-

კეთისა და ჩვენი ქვეყნის წარმატების ნიშანი. და ეს რომ ასე არის,—ამაში ჩვენ თვითონ ის ქალები დაგვარწმუნებენ, რომელნიც ახლა სამზღვარ გარეთ მიდიან, როდესაც გასწავლულნი დაბრუნდებიან უკან და თავის ცოდნითა და გონიერი ცხოვრებით არა მცირედ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს საზოგადოებას. ამ უკანასკნელი აზრის გამოთქმა ჩვენ არ გვაშინებს: დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ქალები, რომელნიც წინაღუდგნენ საზოგადოების ბრმა აზრსა და მოახერხეს თავის გონიერს გზაზე დადგომა,—ამისთანა ქალებს იმდენი ზნეობითი ძალა კიდეც ექნებათ, რომ თავიანთი გულითადი წადილი შეასრულონ და განსწავლულნი დაბრუნდნენ უკან, თავიანთ ქვეყანაში.

ამასთანავე ჩვენს მშობლებს უნდა ჰქონდესთ მხედველობაში, რომ ეს ჩვენი ქალები საზოგადოთ გაუკვალავ გზაზე არ ადგანან. ეს გზა დიდი ხანია გაკვალული და გათელილია: ჩვენ არაფერს ვიტყვით ამერიკაზე, სადაც ქალებისთვის ცალკე უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლებია გამართული და სადაც ისინი პროფესორებათ, ყოველ გვარი შკოლების მასწავლებლებათ და ჩინოვნიკებათ არიან. ჩვენ მოვიგონებთ მხოლოთ შვეიცარიას, ანუ უკეთ ესა ქვათ, ციურიხის უნივერსიტეტს, სადაც ეს რვა წელიწადია თავისუფლათ იღებენ ქალებსა და უმაღლესი სწავლის მიღების ნებას აძლევენ. ციურიხის უნივერსიტეტში ამჟამად, როგორც ამბობენ, 80 ქალია და ამათ რიცხვში 54 რუსის ქალები—თუ პეტერბურღიდამ და თუ სხვა რუსეთის ქალაქებიდამ მისულნი. სადაც ამდენი ქალები ერთად არიან და სასარგებლოთ ჰპოებენ სწავლის მიღებას, იქ, იმედია, არც ჩვენებურ ქალებს გაუჭირდებათ რამე და ტყუილ-უბრალოთ არც ისინი დაკარგავენ დროებას.

თვით ჩვენმა მმართებლობამ დაინახა საჭიროთ და სასარგებლოთ, რომ ქალებს უმაღლესი სწავლის საშუალება მიეცეს. ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ წელს სექტემბრიდამ პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიასთან გაიმართება ქალებისთვის განსაკუთრებული კურსი, სადაც «ნასწავლი ბებიები» უნდა მოემზადნენ და სადაც, ცოტაოდენ განსხვავებას გარდა, თითქმის ისეთ სწავლას აძლევენ, როგორც ყმაწვილ-კაცებს ამავე აკადემიაში. მაგრამ ამ კურსებზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ამნაირათ, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვხედავთ, რომ ჩვენს ქალებშიაც იწყება მოძრაობა და ლტოლვილება უმაღლესი განათლებისათვის; ვხედავთ, რომ ეს ლტოლვილება ზოგიერთებს, მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მოჰყავთ სისრულეში. მაშ ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდეს, ვიდრემ საზოგადოთ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვილებაებსა აქვს; ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას თან-და-თან უფრო ნაკლები დამბრკოლებელი მიზეზები შეხვდეს, თავის გზაზე მსვლელობის დროსა, და ის სარგებლობა მოეტანოს ჩვენთვისაც, რაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს მოუტანა.

ხ. მ.

კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდამ მოგვდის ამბავი, რომ არა გვეშველა, წვიმა არ მოდის და ეს უწვიმობა და გვალვა ნამუშევრის სრულებით გაფუჭებას გვემუქრებაო. ზოგან თურმე თვეზე მეტია, რაც ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა ზეციდამ და თან საშინელი მყუდრო და ცხელი ჰაერი დგას.

თფილისშიაც ეს თითქმის თვე ნახევარია, რაც წვიმა არ მოსულა და სულის-შემხუთავი სიცხე გვაწუხებს. ზოგიერთ ქუჩებზე თითო მტკაველა მტვერი ყრია და როცა ცოტა ქარი ადგება, კაცი ვერ გაივლის, ისეთი მტვერი დგება. წასულ კვირას (აგვისტოს 13-ს) ცოტა წვიმა მოვიდა, მაგრამ ამ წვიმამ მხოლოთ სახლების სახურავები და ხეების ფოთლები ჩამორეცხა; სრულებით გამშრალი და გაცხელებული მიწა, მგონი, ერთ გოჯაზე არ დაუსველებია.

* * *

მმართებლობამ გადასწყვიტა, რომ ჩვენებური ნავთის მადნების იჯარით მიცემა საარგებლო არ არის არც თვითონ მმართებლობისათვის და არც ამ ნავთის წარმოებისათვისო, და ამის გამო განიზრახა ნავთების აქციზით ყიდვა. კავკასიის უმთავრესი სამმართველოს განკარგულებით, ამის თაობაზე ვაჭრობა წელს დეკემბერში არის დანიშნული. ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ რუსის კაპიტალისტებს, რომ ეს ძლიერ სასარგებლო და გამოსადეგი მადნებია, რადგან იქ აუარებელი ლამპის ზეთის წარმოება შეიძლება, და ამიტომ ეცადეთ ეს მადნები (ნავთის წყაროები) თქვენ ჩაიგდეთ ხელშიო.

* * *

ერთი ჩვენი ქიზიყელი კორრესპონდენტი-თაგანი, უფ სარქისოვი, გვწერს, რომ ალაზან გალმა ტყეს ცეცხლი მოჰკიდებია, ერთ კვირაზე მეტია, რაც იწვისო, მაგრამ ჯერაც ვერ გაუქვრიათო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ქიზიყში მკათათვის ოცდამ ჯერ აქნობამდი არ მოსულა წვიმა, (წიგნი 12 აგვისტოს არის დაწერილი). «ხალხი ცალკე თავის ცოლ-შვილზე ზრუნავს და ცალკე არ იცის, პირუტყეს რა უყოს, რადგან მინდვრებზე ბალახი სრულიად არ არის. ვენახები, რაც სეტყვას გადურჩა, მზემ დაწვა.»

* * *

ქუთაისის გუბერნიის უეზდის უფროსებსა და პოლიციებს შემდეგი მიწერილობა მოუვიდათ უფ. სამხედრო გუბერნატორისაგან:

«კავკასიის აქეთა მხრის სახაზინო პალატის მოწერილობიდამ სჩანს, რომ ზოგიერთ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებს, მაგალითად: ქუთაისს, ფოთს, ოზურგეთს და რედუტ-კალეს და აგრეთვე ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპნის უეზდებს ბევრი სახელმწიფო ხარჯი ჯერაც არ გადაუხდიათ [illegible] წლებისა. ამის გამო ფიცხელ მიწერილობას ვიძლევ პოლიციებსა, რომ ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და ყოველი საშუალება მიიღონ, რომ რაც შეიძლება მალე და დაუბრკოლებრივ შეკრიბონ წასული წლების გადასახადი—ხარჯი.»

* * *

პეტერბურღში დანიშნულია ცალკე კომისია, რომელმანც ფოთის პორტის აშენების საქმე უნდა გადასწყვიტოს. «ნიკოლაევის მოამბეში» დაბეჭდილია, ვითომც ამ კომისიას გადაეწყვიტოს, რომ ფოთის პორტი უფ. ჟარინცოვის პროექტით უნდა აშენდესო.

* * *

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ფოთი-თფილისის რკინის გზა ზოგან ძალიან დიდ ალმართ-დალმართზე არის გაყვანილი და ზოგან საშიშო მისახვევ-მოსახვევიაო და ამისა გამო ამ გზას, როგორც რიგია, ისე ჩქარა სიარული არ შეუძლიაო; ამავე მიზეზითვე საზოგადოებას ეშინია ამ რკინის გზაზე მოგზაურობისაო.

* * *

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, გზების სამინისტროში ადგენენ ახალ პროექტს, რომ მდინარე ყუბანიდამ წყალი გადმოუშვან არხებითა და ამნაირათ ჩრდილოეთი კავკასია მოარწყონ და გაანოყიეროონ.

* * *

კავკასიის სამასწავლო მაზრის ცირკულიარში დაბეჭდილია 1871 წლის ანგარიში, რომელზედაც დიდს მთავარს კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი სიტყვები დაუწერია:

«ეს ანგარიში, როგორც ყოველთვის, ეხატება ნობის-მოყვარეობითა და სიამოვნებით წავიკითხე. ძლიერ მისარიან სასოფლო შკოლების გაძრავლება და იმედი მაქვს, რომ ეს შკოლები ყოველ წელიწადს თან და თან გაძრავდებიან და გაკეთდებიან. მეტათ ვწუხვარ, რომ ამ საქმეში თფილისი ასე უკან დარჩენილა. მივაქცევ ამაზე უფ. მზრუნველის განსაკუთრებულ ყურადღებას

და ნამუსსა, მაგრამ კაცის სისუსტემ და უღონობამ დასძლია.

ერთის მხრით იმისთანა ფიქრებზედაც მოდიოდა ხოლმე: დავანებო აქაურობას თავი და მივეშველო ჩემ დამშეულ მშობლებს და სახლობას; მაგრამ მეორე მხრიდან უფულობა და ცარიელი ხელით შინ მიბრუნება არ უმართამდა ხელს ამ საწყალ კაცსა.

ერთხელ საღამოს, როდესაც ამისთანა ფიქრებში იყო იაზიღ-გულიამ მოჰკრა თვალი, რომ მაჰმადა ისევ შეჯდა თავის მობერებულ ცხენზე, გადიგდო მხარზე თოფი, ამოჰკრა ცხენს მათრახი და გაუდგა, ჩვეულებისა მებრ, გზასა. არ დასცალდა რამოდენიმე საათი, მობინდებულს, ვილამაც დაუკაკუნა ჩუმათ იაზიღ-გულიას კარზე; გაუღო თუ არა, იმწამსვე იცნო ზულგეიდა.

— უდროოთ რას მოსულხარ? ჰკითხა ამან.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იტყვი მაგას. მაჰმადა შეჯდა ცხენზე და ქალაქში წავიდა... ჩაავლო ხელი შემდეგ ვაჟსა და ხვევნა-კოცნით მივიდნენ მალვით ზულგეიდას კარებწინ, საცა გაზაფხულობით წვებოდა ხოლმე, სოფლურ ჩვეულობისა-მებრ, ზულგეიდა ბავშვებით, და არა ჰქონდა აქ ბოლო და დასასრული ამათ ტკბილ ალერსებს.....

X

ამ დროს ერბაშათ მოადგა თავზე ზულგეიდას და იაზიღ-გულიას ვიღაც ცხენოსანი; სახლის კარი გზის პირზე იყო. ცხენიდან ჩამოხტომის უმალ, მოჰგლიჯა მაჰმადამ სწრაფლათ ამათი ყოფაქცევის დამფარველი საბანი!....დაყვირება იაზიღ-გულიასი ამ ან (ვაი) და ზულგეიდას გულის შემოყრა ერთი იყო.

მაჰმადამ, გაბრაზებულმა და დაბურვილმა თავისი უბედურობით, იძრო ხანჯალი და დაუღერა იაზიღ-გულიას გულში, მაგრამ სწრაფლათ გაუელვა რალამაც აზრმა თავში, ჩაგო ისევ ხანჯალი და შეიყვანა შებოჭილი იაზიღ-გულია სახლში, გამოუკეტა კარი, გამოაღვიძა თავისი ახლო მეზობელნი და ნათესავნი და გააცნო თავის ვარემოება. ამასთანავე გამოაღვიძა თავისი მოხუცი ყურთა და თვალთ ნაკლები მამა. გამოიყვანეს საბრალო იაზიღ-გულია, შეამწყვდიეს იმის მაგივრათ ცოცხალ-მკვდარი ზულგეიდა და შეუდგათ ამათ ერთი ჩოჩქოლი და ალიაქოთი იაზიღ-გულიას დასჯის თაობაზე.

ყველას, რასაკვირველია, ერთი ფიქრი ჰქონდათ—იაზიღ-გულიას მოკვლა, მაგრამ მოხუცმა მამამ ურჩია მაჰმადას ცხვირ-ყურების დაჭრა, ყიზილბაშურათ, და ისე გაშვება. მაჰმადაც ამაზე დათანხმდა. იაზიღ-გულიას, რომელს ესმოდა კარგა ეს ლაპარაკი, ჩაუარდა თითქმის ენა არა თუ შიშით, სირცხვილით და სინანულით, და მოელოდა კრინტ დაუძრავათ თავის აღსასრულსა.

მაჰმადამ გაიგდო მაშინათვე იმ ბნელ ღამეს საწყალი იაზიღ-გულია უცნობ მინდვრათ, გაიყოლა თან ორი კარგი ვაჟ-კაცი ნათესავი, და რა მოჰშორდენ სოფლების შენობებს, გაიელვა მაჰმადას ხელში აბრიალებულმა ხანჯალმა, მაგრამ ისევ საჩქაროთ ჩაგო.

— მაჰმად-ამი, უთხრა იაზიღ-გულიამ, ვღირვარ, რადგანაც შენს პურ-მარილზე გადვიარე და მაინც გიღალატე. მომკალ, ნუღარ აგვიანებ!

ამ დროს გაანათა ერთბაშათ ელვამ და მაჰმადამ მოჰკრა თვალი იაზიღ-გულიას ლოყებზე მდულრათ მდინარე ცრემლსა. ეს ცრემლი შიშისა არ იყო...

მაჰმადამ ვერ აასრულა თავის სურვილი და იაზიღ-გულიას თხოვნა, მაგრამ თავიც არ დაანება, და იმდონი იარეს, მინამ ერთ დიდ უშველებელ ფლატეს არ მიადგნენ, საცა არაქსი, აღელვებული გაზაფხუზე, ისროდა მაღლა ბუტბუტით ზვირთებსა. ელვა, ჭექა და ქუხილი უყრუებდა კაცს ყურთასმენასა და რაღაც შიშში აგდებდა.

სტაცეს აქ საბრალო იაზიღ-გულიას ხელი და დასცეს ძირსა. ერთხელ კი დაიყვირა: «ამან ალახ, ოლდიმ!» (ვაი, ღმერთო, მოვკვდი). დაიწყო შემდეგ ხრიალი და ფეხის ფართხალი და პატარა ხანს უკან გაკმინდა სული. როცა დაჯერდნენ თავის სისხლთ-მორეულ სამართალს, მოხსნეს იმ საცოდავს ის ა ბ ა, რომელშიაც ყიზილბაშში სასაფლაოდან თავის დების ხორცი გაახვია და შინ მიიტანა, გაახვიეს შიგ რამოდენიმე ქვა, მოაბეს ფეხზე თოკით და მისცეს არაქსის ზვირთებსა. გაჰკრა ელვამ და მხოლოთ ჭექა-ქუხილმა დასძახა მას «საუკუნო განსვენება.»

XI

როცა იცვნეს იაზიღ-გულიას წყლით გამორიყული სხეული, მიუვიდა მაჰმადას ამბავი, აიბარგა იმ ღამესვე, გამოესალმა მეზობლებს, შესვა თავისი ცოლ-შვილი ცხენებზე, აიყარა სოფლიდან და თანაც გაიყოლა ის ორი ვაჟი-კაცი ნათესავნი და მოხუცი მამა

მივიდნენ დილაზე გამოსაძიებლათ; მაგრამ არც მაჰმადა და არც სხვანი არ დახვდნენ სახლში; იაზიღ-გულიას საფეიქროს კარიც საუკუნოთ გამოხურული დახვდათ.

ამ რიგათ გავარდა მაჰმადა ყ ა ჩ ა ღ ა თ, და ამოწყდა ოთხი კომლი სახელმწიფო გლეხნი, რომელნიც, რასაკვირველია, ბოლოს გადავლენ სამზღვარს გარეთ, ოსმალოს ანუ ყიზილბაშში, და დაიწყებენ აქა-იქა ხალხის ცარცვას და შეწუხებას, მინამ არ მოუღებენ ბოლოს.

ამბობენ, რომ თუმცა მართალია მაჰმადამ იაზიღ-გულიათი იჯერა გულიო, და ცოლმა თითქო დაარწმუნაო ქმარი, რომ იაზიღ-გულია ძალათ დაეცა იმას, და უნდოდა ეხმარა ღონე იმის ყიზილბაშში გასაქცევათ, მოსატაცებლათო,—მაგრამ, იძახიან, ვითომ ერთ სადღაც უდაბნო კლდეში მაჰმადას ცოლიც იმ გზით გაუსტუმრებიაო, როგორც იაზიღ-გულია.

XII

ერთმა დამშეულმა გადმოსულმა ყიზილბაშმა გადმოიტანა ამბავი, რომ იაზიღ-გულიას მამა და ორი და შიმშილისაგან მიასაფლავეს, და მოხუცმა დედამ, დანარჩენი ხუთი წვრილშვილით, მართალია, გადაირჩინა რა წვა და დაგვით თავი შიმშილისაგან, მაგრამ თავის შვილის მოლოდინით ამოიწყალა ორთავე თვალები ტირილით, და დაბრმავებული ელის გადაკარგულ შვილსაო....

ქ—რე ეანჩელი.

სოფ. იგდირი.
1872 წ. მკათათვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვსთხოვ ღმერთს, რომ ქალაქის სამმართველოსა და თფილისის კეთილმოქმედ საზოგადოებას მოელაპარაკოს ამის თაობაზე და წარმომიდგინოს თავის მოსაზრება—თუ როგორ უნდა დაესმაროს კაცი ამ უბედურებას.»

* * *

ნავთლუღში რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო შკოლა და იმასთან პირველ-დასწყისი სასწავლებელი იყო, წლევანდელი წლიდამ გადაკეთდება: პირველი ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტათ და მეორე ორკლასიან სასწავლებლათ. ორივე ეს სასწავლებელნი აქომამდე «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას» ეკუთვნოდა, ახლა კი სამასწავლო მაზრის გამგეობაში იქნება. მკითხველმა იცის, რომ ალექსანდროვის სამასწავლო ინსტიტუტში ჩვენებური სახალხო შკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებენ. ამ ინსტიტუტში ახლა ოთხი კლასიადა 20 ყმაწვილს სახელმწიფო ხარჯით იღებენ. ვისაც თავის ხარჯით შესვლა უნდა, იმან წელიწადში ხუთმეტი თუმანი უნდა აძლიოს, თავითვე სამი თუმანი უნდა შეიტანოს ტანისამოსისთვის და თუმან-ნახევარი წელიჩადში სწავლისათვის, ამას გარდა თექვსმეტი წლის ნაკლები არ უნდა იყოს, უნდა წარადგინოს თავის დოკუმენტები და გიმნაზიის მეორე კლასის ეგზამენი უნდა დაიჭიროს. მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოდამ 31-მდი იქნება დანიშნული.

«დროების» კორრესპონდენცია

კახეთიდამ. ივლისის 30-ს.

ს:სიამოვნოდ ჩვენდ, წლეულს, განსაკუთრებით თელავის უეზდში, ძრიელ კარგი იყო ბურის შოსავალი; მაგრამ ამ მოსავალმა უშეტეს ნაწილს სრულებით ფუჭათ ჩაუარა, რადგან ღამე არ გაიყლის, რომ ტეტლი არ გაჩნდეს სადმე და ორსამგან არ დაიწვას ძნა საძნეთურთ. ეს ძნის დაწვა უფრო სშირია მდ. ალაზნის გარეშემო სოფლებში, მაგ. სს. ასატელში, რუისპირში, არტოზანში, გულგულაში, ნათარეულში და სხ. ძრიელ დიდ ზარალს აძლევს ამ ყმაწვილს ჩვენს ხალხს ეს ტეტლი. თვითონ იფიქრეთ: მთელი წლობით კაცს ლუკმა-ბური უწუდება და ოჯახი ელუპება. ზოგიერთები ამბობენ, განგებ უკიდებენ ვიღაცები ტეტლებსაო და ძრიელ ცდილობენ შეიტეონ დამნაშავენი, მაგრამ ვერასფერით ვერ შეიტეენ; ისინი უეტრიე ერთს სხვიჩკას აძლევენ თურმე ძნასა და მირბიან თავის საშველად. მსოლოდ უნდა ვსთქვა, რომ ეს ბოროტ-მოქმედება ბირველად გაჩნდა ს. ასატელში, იქაურ მცხოვრებ თითრებს შორის. ისე იფიქრეთ, რომ მინდვრიდგან რომ ძნით ხვსე ურემი მოდიოდა, თუ უკან არავინ მოსდევდა, აძლევდნენ ტეტლს და საქონელს ძღივს ასწრობდნენ, რომ გამოუშვათ ურმიდგან. ამ ტეტლმა დიდი ზიანი მისცა ერთს ს. არტოზანში მცხოვრებ თავადს უ. გრიგოლ მაყაევს. 26-ს ივლისს შუადამესსნს უეტრიე ნათელმა გაადვიძა მოხუცებული დედა ამ კაცისა და ნასა, რომ ტეტლი ასალი მოკიდებული აქვს ძნას. დაიწყო წივილ-კივილი ხალხის გასაგონათ; მაგრამ ხალხმა დიდ ხანს ვერ შეიტეო, სანამდისინ ეკეკლესიის ზარები არ დაირეკა. მართალია, მაშინ ხალხი შეიკრიბა, მაგრამ სრულებით ვერა გადარჩინეს რა. დაიწყა: ესი ურემი სულ წმინდა ძნა, ორი ტარანტასი, მასალა ერა ასალი ბოგოსკებისა, ორმოც ადლიანი ქვითკირის საძნე და გომური თავის ხე-ტეეთი.

ამ ბურიდგან ცარიელ დარჩომას, რაგორც იქნებოდა კაცი, უმეტესად გლესი, მოიითმენდა, თუ მატარა იმედი მიეცა სამინდის და ღვინის მოსავალს; მაგრამ, სამწუსაროდ ჩვენდ, ამათ უფრო სრულებით იმედი გადუწყვიტეს: სანგრძლივმა ბოლვამ ისე ამოასმო სამინდი, რომ ცარიელი გამსმარი ღეროები დგას, და ეურძნის მარცვალი ისე ჩამოაჭკნო, რომ სორბლის მარცვლის ოდენაა. თვით თქვენ იფიქრეთ, რა კეთილი დაეურებოდა დედა-მიწას, რომ 1-ს ივლისიდგან ცვარი არ დასცემია. ამ კასეთში სულ რვა სოფლის ვენასები ირწყვება, დანარჩენი კი ისრე ამოასმო ამ ბოლვამ, რომ არ კიცი, რა ნუგეში უნდა ქონდეს სალხს მომავალი ზამთრისათვის. სოლო ესლა კი ამითი ნუგეში არის: პარაკლისებას სდა და ტრემლის ღვრა.

ი. მ—შვილი.

სოფ. იუალთო.

რაჭიდამ, აგვისტოს 2-ს

რაჭაში იმისთანა გვალვა არის, რომ ეოველი ნამუშევარი წაასდინა; მცხოვრებლები ძლიერს მწუსარებაში არიან, რადგანაც ამსაირის გვალვის წყალობით, მათგანი არც ნახევარი ნაწილი ნახევარი წლის სარჩოს არ მოელის. ისრე უდროოთ ასუსა ხამინდები ნამეტანმა ხიცხემ, რომ ტარის მარცვლის გაკეთება არ დაატალა და ეურძენი ნასხვეროთ გასმა. მიწა ალაგ-ალაგ ისეთ ნაირათ დამსკდარია, რომ ცხენს თუ შეტრათ ფეხი ჩაუარდა, მოიტეხს.

მთებზე ტყეებს ტეტლი ეკიდება ხშირათ და ხაშინელი ბურუსი არის გამდგარი.

თუ ამ თვემაც ასრე უწვიმოთ გაიარა, მგონია, მთლათ დაიწვას დიდი მთები და ვისაც იმაში ნამუშევარი აქვს რამე, ისინი, რასაკვირველია, ულუკმა-ბურათ დარჩებიან. მღვდლები და ხალხი წვიმის მოსვლისათვის ხშირად ლოცულობენ, მაგრამ წვიმის მოსვლას არა ეშველარა....

მისი ეოვლად უსამღვდელოება იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ამ ეამად რაჭაში მოგზაურობს და არ აკლებს ხალხს თავის გონიერ ქადაგებას. მაგრამ მამასახლისები ვერ აძლევენ შეშფოთებას ხალხის თავმოყრით და მით ძლიერ ბევრი კაცი და ქალები ხრულებით აკლდებიან მის ნიჭიერს დარიგებებს.

ეფრემ შარაბიძე.

სოფ. სადმელი.

რუსეთი

(«დროების» კორრესპონდენტი)

პეტერბურგიდამ

მანეგრები კრასნი სელოში.—ნაპოლეონის კარიკატურა.—ასალი პეტერები.—საზოგადოებისა ზრი ომზედ.—შაგლოვსკის ვოკზალში დღესასწაული.—ფილიპპოს რომანსების სამღერა და მისი ტალანტის დამფასებელნი.—

ამ თვის 17 გათავდა კრასნი სელოს მანეგრები. დანიშნულება მანეგრებისა იმაშია, რომ ჯარი და სარდლები ორივე ვარჯიშობს: მკლავს იმაგრებს და გულს იმხნევებს. მანეგრების დროს ყველაფერი უნდა წარმოიდგინო: უნდა წარმოიდგინო, მ. გ., რომ ამა და ამა ადგილს, ამ და ამდენი მტრის ჯარი დაბანაკებულია; უნდა წარმოიდგინო, რომ შენს მოპირდაპირეს სურსათი შემოკლებია და, თუ სწრაფათ დაეცი თავზედ, შეგიძლია სულაც გაქლიტო იგი. რასაკვირველია, გონიერი სარდალი თუ ხარ, იმ წამს გაელაშქრები შენის ჯარით მტრისაკენ და «დანიშნულ ადგილზედ» შეეტაკებით ერთმანერთს; შეიქნება მაშინ ერთი უშველებელი ზარბაზნისა და თოფის სროლა, ქვეითი და ცხენოსანი ჯარის გაცხარებულათ იერიშით შეჯახება, ხრმლებისა და შუბების ტრიალი, კაცის კიჟინი და ცხენის ჭიხვინი! ერთი სიტყვით, ისეთი რამ ანბავია, თითქო მეორეთ მოსვლა იყოსო. მაგრამ, დანიშნულ დროზედ, როგელიმე მხარე დასძლევს და დამარცხებული სიკვდილს ნატრობს, ხოლო გამარჯვებული კი დღესასწაულობს!

წელსაც ამნაირი წარმოდგინება იყო კრასნი სელოში. ერთს ნაწილს ჯარისას მისი იმპერატორებითის უმაღლესობა მემკვიდრე წინაუძღოდა და მეორეს ღენერალი გალიციინი. ამ კამპანიაში გამარჯვებული მემკვიდრე დარჩა. მე წინეთაც ვიყავი დარწმუნებული, რომ გალიციინი წააგებდა ომს; ეს, ალბათ, იმისთვის მომდიოდა, რომ მე ახალ თაობის იმედი უფრო მაქვს და მის ნიჭიერებაზედაც ნაკლებათ ვიჭვნეულებ ხოლმე...

ვინც კი დაესწრო ამ მანევრებს, ყველა ალტაცებულია სიამოვნებით: «კაცის თვალი უკეთეს რასა ნახავსო!» მითხრა ერთმა საპატიო ქალმა. მოდი და ნუ იტყვი ეხლა შენ, რომ «ომი ღვთაებრიები მოქმედება არ არისო!»

სადაც ომზე ლაპარაკია, იქ ომის პატრიარქის, ნაპოლეონ I-ს დავიწყება შეუძლებელია. უკანასკნელ დროს ბევრი კარიკატურა გამოვიდა ამ დიდი კაცის ძმის-წულის შესამკობათ. მაგ. ერთი ნახატი წარმოადგენს ნაპოლეონ პირველს, რომელიც ღრუბლებში მაღლა სკამზედა ზის, ხელ-გულ დაკრებილი და ზიზღით დასცქერის უღირს ნათესავს სედანის გმირს ექს-იმპერატორ ნაპოლეონ მესამეს, რომელიც ძირს მტვერში გდია. გენიალური დესპოტის სახე ეუბნება თავის მხარებ დაფცქვნილ ძმის-წულს:» აბა, რა შენი საქმე იყო ჩემი წაბაძვა? რა შვილი შენ იყავი, რომ ევროპაში ბატონობა მოინდომე? განა არ იცი, რომ არწივის წაბაძვა თუთიყუშისათვის დამღუპველიაო. შენის გაჩენით დამსაჯე ღმერთმა, შენ ჩემი სახელის შემარცხვენელო, შენა.» ამ სურათის მნახველი უნებლიეთ დაფიქრდება და იტყვის: «რა არის კაცი! როგორი მაღილი დიდებიდგან ჩამოვარდება ის, თუ რომ დამპალ საძირკველზედ ააშენა მან თავისი უფლების ციხე? როგორი საშიშარია ქვეყნის უფროსობა! ხალხის წინამძღოლობა ადვილი საქმე არ არის!»

ყოველთვის, როცა აქ ზაფხულში სამხედრო სასწავლებლებიდამ ახლად გამოსულ აფიცრებს ეხედავ, ვამბობ ჩემთვის: «კმარა, ღმერთმანი, რათ გვინდა ამდენი აფიცრები» მეთქი. მაგრამ სჩანს არ გეყოფნის. ალბათ, საკმაოთ დაცულნი არა ვართ მტრისაგან? ეხლა მთელი ნევის პროსპექტი და სასეირნო ადგილები სავსეა ამ «ახლად გამომცხვარი» მხედრებით. რამდენი სიცოცხლით სავსე და სასიამოვნო ყმაწვილი იპოვება ამათში! რამდენს სარგებლობას მოუტანდნენ ეს ჭაბუკები თავის სამშობლოს პატიოსანი შრომითა! რამდენი წარჩინებული მოქალაქე გამოვიდოდა ამათ შორის! მაგრამ ეხლანდელი საზოგადო წყობილება სხვა ნაირათ სჯის: «მე უნდა მყავდეს ძლიერი არმია, მაშინ შევიქნები ნამდვილად ბედნიერი და ღირსეულიო,» ამბობს საზოგადოება. ვინ იცის, იქნება ის მართალი იყოს თავის მოსაზრებაში? მაგრამ ყველა სახელმწიფო რომ საომარ იარაღს სამუშაო იარაღათ გარდააკეთებდეს, ხალხისთვის კი ბევრათ საუმჯობესო იქნებოდა. მაშინ ხალხს აღარ დასჭირდებოდა ხუთასი და ექვსასი მილლიონის ჯარზედ დახარჯვა. ამ ფულის ნახევარი რომ განათლების გავრცელებისა და ცხოვრების გაუმჯობესობისათვის დახარჯოს ხალხმა, მგონია, ქვეყანა სამოთხეთ გარდაიქცეოდა. თუ თითოეულ ადამიანებს შეუძლიანთ გასამართლება, რისთვის ხალხებსაც არ გამოადგებოდა ეს საშუალება? ნუ თუ კაცის გონიერება ისე სუსტია, რომ უთუოდ ზარბაზნებს უნდა მიანდონ განჩინების შედგენა? მართლა, რომ: «მთელი კაცობრიობა გიჟია და დედა-მიწა საგიჟოსახლი!» უნდა მოგახსენო, საკვირველად ასრულებენ საქრისტიანო ხალხში ბატონ-ყმის სიტყვებს, რომელიც ბრძანებს: «შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი!»

ამისთანა მუსაიფის შემდეგ, პავლოვსკის ეოკზალამდინ კაი ძალი ნაბიჯი კი არის, მაგრამ ლაჯების ზომის ნაცვლად, სჯობს შემომყვე, მკითხველო, ამ მშვენიერათ გაწყობილ ბაღში. ღმერთო, როგორი სინათლე, ბრწყინვალება, და აროომატი არის აქ! თითქოს, მართლა სამოთხეში შეეედით!. რა ყურისა და გულის დამატკბობი მუზიკა ისმის ამ ბაღში! რა აუარებელი საზოგადოებაა! როგორი მოკაზმული და გაელვარებულია ყველა! ქალები აბრეშუმის და ხაევრდის კაბებით არიან მოსილნი; ყურებზედ, გულზედ და ხელებზედ ბრილიანტების გარდა, მათ სხვა ძვირფასი ქვები თითქმის არ უჩანთ. კაცები ოქროთ და ვერცხლით გაჭედილ მუნდრებში და ძვირფასს ტანისსამოსში არიან გამოჭიმულნი. ყოველს სახეზედ სიხარული და ბედნიერება გამოიხატება. თურმე დღეს ვილაცას დღესასწაული ყოფილა და ეს ანბავი მისთვის არის. დავჯექი და ყური დაუგდე. მაგრამ სრული ნეტარების ღირსი არ გავხდი. საუბედურათ, თვალის ტკივილი მჩვევია და იძულებული ვიყავი მეტის-მეტის სინათლისაგან დამეხუჭა თვალები. მოგეხსენებათ ბნელში მყოფი კაცი ოცნებებს მიეცემა. მე წარმომიდგა თვალწინ ორი სურათი: ერთის მხრით, შიმშილი, სიცივე, გარემოებისგან დაჩაგვრა, ყოველ გვარი გაჭირვება და სიღარიბე, ადამიანის ლუკმა-ბურისთვის ბრძოლა სიცოცხლესთან.... ერთბაშათ, ორკესტრში ბარაბანის გრიალმა თვალები გამაღებინა და შევხედე მაშინ, როგორ ტყვილა-უბრალოთ ვოცნებობდი! აქ სულ სხვა სურათი იყო... ეს ბრწყინვალე საზოგადოება, ყოველი კმაყოფილებისაგან მობეზრებული, მდიდარი და მაღალი, ვგონებ სრულებით ვერ წარმოიდგენს, როგორ გატანჯულ და მძიმე ცხოვრებაშია ხალხი!

აქედამ გადავხტეთ სხვა შესანიშნავ აქაურ საგნებზე: უთუოდ შესანიშნავ საგნებში ჩაირიცხება საამიყო ლექსების მომღერალი ქალი ფ ი ლ ი პ პ ო. ეს ქალი ისეთი თვისების მომღერალი ქალია, რომ მისი მაყურებლები პირუტყულ აღტაცებაში მოდიან, ყოველ სიმღერის დროს. ფილიპპოს ღირსება (?) იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის სიმღერით და სხეულის მოძრაობით წარმოადგენს ისეთს მოქმედებას, რომლის თქმა ძალიან უზრდელობა გახლავს პატიოსანს ადგილს. თავის ხელოვნებაში ფალიპპო მართლა მიუწთომელი არტისტკაა! თავის სიმღერას შეამკობს ის თვალების გადანაბვით, ტუჩების და თითების კვნეტით. ამ ქალს თილისმური გავლენა აქვს პუბლიკის გულის თქმაზედ. ერთი სახის მობრუნებით, ფილიპო ააჭრიალებს და ააცახცახებს თავის მაყურებლებს....

მერე როგორი საპატიო ხალხი დაიარება ამის საყურებლათ! წოდებითაც მაღალი და ხნითაც არა ყმაწვილი. დარწმუნებული ვარ, მეორე დღეს რომ შეხვდე ამ დარბაისლებს, ისეთს მუსაიფს დაიწყებენ პატიოსნებაზედ, სიწმინდეზედ და უმანკოებაზედ, რომ პირდაღებული დარჩებით! სადმე რომანში რომ წაიკითხონ: ქმარს ცოლი განშორდა და სხვა კაცი შეიყვარაო, ან ქალი დედ-მამის უნებოთ ქმარს გაჰყვაო, მაშინვე ერთ ვიხარამათს დაადგებენ: «გაირყვნა საზოგადოება, დაიკარგა სირცხვილი და ნამუსი!» მოდი ეხლა და დაუჯერე ამათ!

დ. ზურაბიშვილი.

25 ივლისს.

მოსკოვში შეკრებილნი არიან ამჟამად რუსის ტყის პატრონები და აქვთ მოლაპარაკება იმის თაობაზე—თუ რა ღონის-ძიება უნდა იხმაროს, რომ ტყეები დაიცვან უზომოთ აჭრისაგან და ამით ტყიან ადგილებს ზიანი არ მიეცესთ. ამ კრებას ექნება შეიდი სხდომა და განსაკუთრებით შემდეგ კითხვებზე მოილაპარაკებენ: რა საშუალება უნდა იხმაროს მმართებლობამ და ერობამ, რომ გაამრავლოს და მოაშენოს კერძო პირების ტყეები? როგორ უნდა გაავრცელონ საზოგადოებაში ტყის მოშენების სარგებლობის აზრი? როგორ უნდა ასჭრან ტყის პატრონებმა თავიანთი ტყე, რომ ამას მავნებელი გავლენა არა ჰქონდეს გარემშემო ადგილების ბუნებაზე?

სრულებით ურიგო არ იქნება, რომ ამგვარ საგნებზე ჩვენი ტყის პატრონებიც კარგათ დაფიქრდებოდნენ.

* * *

მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენასთან გამართულია ამჟამად «სახალხო ბებლიოთეკა» (საკითხავი ოთახი), სადაც შეკრებილია ბევრი სახალხო წიგნები და უბრალო ხალხს ყოველ დღე შეუძლია შევიდეს და იკითხოს, რაც ჰსურს. «ს. პეტერბ. უწყებების» კორრესპონდენტი იწერება, რომ კვირაობით და უქმ დღეს ამ ბიბლიოთეკაში 200-300 და ხან მეტი გლეხები და საზოგადოთ მუშა ხალხი მოდის და სხვა და სხვა სახალხო წიგნებს ჰკითხულობენ მთელი დღეო. უბრალო დღეებში კი ნაკლებათ მოდიან თურმე, რადგან მუშაობენ. თითო შესვლა ამ ბიბლიოთეკაში თითო კაპეიკათ ღირს. ვინც კითხვა იცის, ისინი ცალკე ოთახში სხედან და ჩუმათ ჰკითხულობენ და ვინც კითხვა არ იცის, ისინი სხვა ოთახში სხედან და იმათთვის მკითხველები არიან, რომელნიც ხმამაღლა უკითხავენ. ეს საკითხავი ოთახი უნდა დაეკეტათ მაშინ, როდესაც პოლიტეხნიკურ გამოფენას დაკეტავდნენ (სექტემბერში), მაგრამ ამბობენ, რომ, რადგანაც ხალხს ის ძალიან მოეწონა და ბევრ სარგებლობასაც აძლევს იმას, (ისინი სამიკიტნოებში აღარ დაიარებიანო), ამის გამო ეს ბიბლიოთეკა სამუდამოთ დარჩებაო. ყველა წიგნის მალაზიები და რედაქციები მუქთად აგზავნიან ამ სახალხო ბიბლიოთეკაში წიგნებსა და გაზეთებსა.

* * *

კალუგის საერო კრებამ გადასწყვიტა ამას წინათ, რომ ჩვენი შემოსაელიდამ 500 მანეთი დავნიშნოთ წელიწადში იმ სტუდენტებისათვის, რომელნიც ჩვენი ქალაქიდამ არიან სხვა და სხვა რუსეთის უნივერსიტეტებში წასულნიო.

* * *

მკითხველმა იცის, რომ ჩვენი და ოსმალეთის მმართებლობა აპირებენ შავი ზღვის ქვეშ, ოდესასა და სტამბოლს შუა ტელეგრაფის გაყვანას. ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ტელეგრაფის გაყვანის ნებას სხვათა შორის უფ. ნოვოსელსკიც სთხოვს მმართებლობასაო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ნაციონალურმა კრებამ შესწყვიტა თავის სხდომები და ამიტომ ახლა საფრანგეთში ჩვეულებრივი პოლიტიკური სიცოცხლე და მოძრაობა აღარ არის. ტიერი ამჟამად ერთ ზღვის ნაპირა ქალაქში—ტრუვილში სცხოვრებს მოსასვენებლათ მაგრამ, ამბობენ, რომ ეს ცოცხალი მოხუცი იქაც არ ისვენებსო: დილის ხუთი საათიდამ შუაღამემდი მუშაობს და საქმეშია თურმე. ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება ახლა იმას სამხედრო საქმეებზე მიუქცევია. იქვე, ურტვილში, იმყოფებიან თურმე ახლა საფრანგეთის სამხედრო მინისტრი,—ღენერალი სისე და ბევრი სხვა ღენერლები და აფიცრები და ახალ მოგონილ ზარბაზნებს სინჯავენ.

— საფრანგეთის ელჩსა და ოსმალეთის სულთანს შუა ამასწინათ უკმაყოფილება მოხდა, რომელზედაც გაზეთებში ახლა ბევრს ლაპარაკობენ. საქმე აი რაში მდგომარეობს: როდესაც ინგლისისა და რუსეთის ელჩი გამოეცხადებიან თურმე ხონთქარს ან რამე საქმისთვის მივლენ სასახლეში, სულთანი მუდამ სთხოვს, დაბრძანდითო. საფრანგეთის ელჩს კი არასოდეს არ უშვებოდა ამისთანა თავაზს. ამის გამო საფრანგეთის ელჩმა ამას წინათ გადაკვრით მოახსენა თურმე ხონთქარს, რომ რიგია მეც მთხოვოთ დაჯდომაო. ხონთქარმა სთხოვა თურმე, მაგრამ, აუდიენციის გათავების შემდეგ, იმწამსვე გაუგზავნე ტიერს ქალალდი, რომ ეს თქვენი ელჩი, თუ შეიძლება გამოცვალეთ და მის მაგივრათ სხვა გამოგზავნეთო. ერთს ფრანცუზულ გაზეთში სწერენ ამის თაობაზე, რომ ეს გარემოება საფრანგეთსა და ოსმალეთს შუა არავითარ უკმაყოფილებას არ ასტეხს და ისევ ჩვენი ძველი ელჩი დარჩება ხონთქართან ჩვენი ხალხის წარმომადგენლათაო.

— ბაზენის საქმის თაობაზე გამოძიება ჯერ კიდევ არ გათავებულა. ამბობენ, იმის წინაალმდეგ ასეთი გასამტყუნარი საბუთები აღმოაჩინა გამოძიებამ, რომ იმის გამართლება შეუძლებელი საქმე არისო; ცხადათ მტკიცდებაო, რომ იმას მეცის სიმაგრიდამ მტერთან კავშირი და მოლაპარაკება ჰქონდაო.

გერმანია

მომავალი სექტემბრის დამდეგს პრუსიის სატახტო ქალაქში, ბერლინში, სამი იმპერატორი მოიყრის თავს: გერმანიის, რუსეთისა და ავსტრიის. ამ გარემოებაზე ლაპარაკობენ ახლა მთელი ევროპის გაზეთები და საზოგადოება. ყველას უნდა შეიტყოს—რა განზრახვით აპირებენ შეკრებას ეს სამი ევროპის უძლიერესი სახელმწიფოების იმპერატორები. ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს ბისმარკის საქმე არისო; იმან კარგათ იცისო, რომ საფრანგეთი, სანამ უკანასკნელ დამარცხებას არ გადაუხდის გერმანიას, მანამ არ მოისვენებსო, და ამიტომ ჰსურს, ახლავე ძლიერი მომხრეები იშოვნოსო; ბისმარკს უნდაო, რუსეთი და ავსტრია დააახლოვოს გერმანიასთან, რომ, თუ ვინიცობაა, საფრანგეთმა კიდევ ომიანობა ასტეხა გერმანიასთან, ძლიერი მომხრეები ჰყავდეს იმის დასამარცხებელათაო. სხვები ამბობენ, რომ ამ იმპერატორების კრებაზე დაბოლოებით არაფერი არ გადასწყდებაო; ისინი მხოლოთ იმისთვის იკრიბებიან, რომ თავის მეგობრობა და მშვიდობიანობის სურვილი დაუმტკიცონ ქვეყანასაო; კიდევ სხვების აზრით, ამ კრებაზე აღმოსავლეთის, იტალიის და საფრანგეთის საქმეებზე მოილაპარაკებენ. ერთი სიტყვით, აქ დარწმუნებით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ამ შეხვედრის განზრახვა საიდუმლოთ აქვთ მმართებლობაებს. ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ, რომ რუსეთის იმპერატორი სექტემბრის 5 (აგვისტოს 24) მოფრძანდება ბერლინშიო. ამავე დროს იქვე მივა აგრეთვე ავსტრიის იმპერატორი—ფრანც-იოსიფი. ორივე იმპერატორები თავის კარის კაცებით, მინისტრებით, მივლენ ბერლინში და მერე დაიწყება კონგრესი.

ესპანია

ესპანიის კოროლმა, ამედეომ, გამოსცა მანიფესტი, რომლის ძალათაც ყველა კარლისტებს, რომელთაც კი ამ უკანასკნელ არეულობაში მონაწილეობა [illegible]�ილეს, ამნისტია (პატიობა) გამოეცხადებათ.

კუმისი

უბრალო ხალხში ხან-და-ხან ზოგ ისეთს წამლებს ხმარობენ, რომელნიც მართლა გამოსადეგნი არიან რომლისამე ავათმყოფობისათვის; ხალხი დიდი ხნის გამოცდილებით, ზოგჯერ ისეთს წამალს მიაგნებს, რომელიც, სწავლული ექიმების შემოწმებით, ნამდვილათ შველის ზოგ ავათმყოფს. ერთ ამისთანა წამალთაგანს ეკუთვნის კუმისი, რომელზედაც ახლა ორიოდე სიტყვის თქმა გვინდა.

კუმისი არის ერთგვარათ დამზადებული ცხენის რძე, რომელსაც სამარის გუბერნიის ბაშკირები და თათრები დიდი ხანია ხმარობენ დასუსტებული სხეულის გასამაგრებლათა და სხვა და სხვა ავათმყოფობისათვის. ეს ხალხები ზამთარში ცუდის ცხოვრებისაგან მუდამ ყვითლები, გამხდრები და დასუსტებულნი არიან; მაგრამ ზაფხულში, როდესაც კუმისის სმას იწყებენ, ფერი მოუდისთ, მაგრდებიან და ჯანმთელი შეიქნებიან.

ამ საუკუნის დამდეგს რუსეთის სწავლულმა ექიმებმა მიაქციეს ყურადღება კუმისსა და ხანდისხან თავის ავათმყოფებსაც ურჩევდენ სამარის გუბერნიაში წასვლას ცხენის რძის სასმელად. ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ეს წამალი ძალიან უხდება განსაკუთრებით ისეთ ავათმყოფებს, რომელთაც გულის ტკივილი აქვთ და საზოგადოთ სხეულით დასუსტებულნი არიან. მაშინ ექიმებმა თვითონ პეტერბურღში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში გამართეს ისეთი საავათმყოფოები, სადაც კუმისს ამზადებდნენ და ამით არჩენდნენ ასე, რომ ამისთანა «კუმისის საავათმყოფოები» ამჟამად რუსეთში 25 ალაგას არის.

დიდის სიამოვნებით ვაცნობებთ მკითხველებს, რომ კუმისის მზადება ახლა ჩვენშიაც დაიწყეს: წელს ზაფხულს აქიმმა გ. ბაბოვმა დაიწყო კუმისის მზადება სოფ. კეკეთში, უფ. ონიკოვის მამულში. ჩვენ გავიგონეთ, რომ ამჟამათ რამდენიმე კაცი სარგებლობს თურმე კუმისითა და თითქმის ყველანი კმაყოფილნი არიან და ამბობენ, ძალიან გვიხდებოდაო. უბედურება ის არის, რომ ჯერ-ჯეროობით უფ. ბაბოვის კუმისი ცოტა არ იყოს ძვირათ ღირს, ზაფხულში სამ თუმნათ, და ამისგამო უბრალო ხალხი, რომელსაც, უფ ბაბოვის სიტყვითვე, ყველაზე უფრო ეჭირვება ეს წამალი, ძნელათ თუ ისარგებლებს ამ საშუალებითა. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოთ კუმისის მომზადება სხვა ქვეყნებში უფრო ძვირათ ღირს, რადგან ჰაკი ცხენები და იმათი შენახვა ძვირათ ჯდება; ასე რომ ოდესაში, მაგალითად, ერთ სეზონში, ზაფხულში, კუმისის სმა ექვს თუმნათ ღირს. წელს მაინც სიცხისა და გვალვისაგან ბაბოვის აგარის ცხენები ძალიან ცოტა რძეს იწველიდნენ, ასე რომ ის ხან-და-ხან ვერ აკმაყოფილებდა თავის პაციენტების მოთხოვნილებასა.

კავკასიის მედიცინის საზოგადოების ჟურნალში დაბეჭდილია უფ. ბაბოვის სტატია, სახელათ «რამდენიმე სიტყვა კუმისზე,» რომლიდამაც ჩვენ ეს ცნობები მოგვყავს. ამ სტატიაში უფ. ბაბოვი სხვათა შორის ამბობს, რომ ჩვენი უბრალო ხალხი, ცუდი საჭმლისა, ჰაერისა და საზოგადოთ შევიწროებული ცხოვრებისა გამო, ძალიან ხშირათ ხდება ავათ ფილტვების ავათმყოფობითა და სუსტდებაო. ამ შემთხვევაში ჩვენი უბრალო ხალხისათვის ჯანმთელობის მინიჭება, უფ. ბაბოვის სიტყვით, მხოლოთ იმათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუძლია, რომლის შემწეობითაც ისინი უკეთესი საჭმლისა და სადგომის შოვნას მოახერხებენ. ყოველ სხვა საშუალებასა და ექიმობას მხოლოთ დროებითი და კერძოობითი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი უბრალო ხალხისთვისაო; და ამ საშუალებათა შორის, იმის აზრით, პირველი ალაგი კუმისს უნდა ეკუთვნოდეს.

ნარევი

«დროებაში» იყო ამას წინათ დაბეჭდილი, რომ ერთმა ინგლისელმა ქალმა, მისს ატკინსმა, შესრულა სწავლა ციურისის უნივერსიტეტში და ექიმის დიპლომი მიიღო. ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან ასლა, რომ ეს ქალი ბირმინგამის (ინგლისში) საავათმყოფოში ექიმათ დანიშნესო.

* * *

გერმანიის ზოგიერთ შკოლებში შაგირდების ტყმა-ტუეპასა და წკეპლას ასლაც ისეთი პატივი აქვს თურმე, როგორც ჩვენში ჭორდა რამდენიმე წლის წინათ. ერთს რუსულ ჟურნალს [illegible] დასამტკიცებლათ რამდენიმე მაგალითი მოეყვანა და სხვათა შორს სამი წიგნი, რომელშიაც ნემეცური პედაგოგები ამტკიცებენ, რომ «უწკეპლოთ ყმაწვილის გაზდა შეუძლებელი საქმე არისო.» ერთი ნემეცი პედაგოგი ამბობს, რომ «ყმაწვილს გულში უზის სისულელეო და ამ სისულელის გამოდევნა მსოლოთ წკეპლით შეიძლებაო.» მეორე პედაგოგი იწერება, რომ «მე ერთი ლამაზი ლინეიკა მაქვს, რომლითაც ჩემ შაგირდებს სელებზე ვსცემო და თუ ეს არ მოამესმარება, მაშინ წკეპლას ვიშერ სელში და «დაუსხელებელ» ალაგზე ვსცემ იმათაო.» შესანიშნავი და სასირცხვილო ის არისო, სწერს უფ. ბელოვი ამის თაობაზე, რომ ეს პედაგოგები საქვეყნოთ აცხადებენ ამისთანა საზარელ აზრებს და მმართებლობა და საზოგადოება ამ საგანს ყურადღებას არ აქცევსო.

ვერმოობითი განცხადებები

მასწავლებელს ჰსურს აძლიოს მუზიკის (ფორტეპიანოზე) და ფრანცუზული ენის უროკები. ისევ ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მსურველს შეუძლია შემდეგი ადრესით მიმართოს: ალექსეევ-მესხიევის სახლებში, ბაგრატიონის და მესხიევის ქუჩების ყურში (ანჩისხატთან).



ისყიდება

მანქანების აბარატები ატამანის ქუჩაზე, სემინარიის პირდაპირ, ზუბალოვის სახლებში

ქვემო მოყვანილი აბარატები ძლიერ გასაგვირველნი არიან და იმათი მოქმედება ძლიერ სასაიმოვნო და ადვილათ გასაგები

1) ნემეცური და ფრანცუზული მანქანების კარტი, რომელიც იცვლება,—ფასი 50 კაპ. 2) მანქანების კარტები, რომელნიც მუზიკით იცვლება—მანეთ ნახევარი 3) პიკის ტუზი ტრეფის ტუზათ იცვლება—ათი შაური. 4) მანქანების თოკი, რომელიც გაიჭრება და მერე ისევ თავისით შეერთდება—2 მან. 50 კაპ. 5) მაგიკური შამპანსკის ბოთლი, რომელიც კამანდით დაწვება და ადგება—50 კაპ. 6) წიგნები ახვა და სხვა სურათებით.—7) მანქანა შარი, რომელიც ბრძანებით გამოჩნდება და იმალება—1 მან. 8) მანქანა კვერცხები, რომელნიც სხვა და სხვა ფერს იცვლიან და ბოლოს ჰქრებიან—1 მან. 9) მოჯადოული პორტ-სიგარი, რომელშიაც სიგარა ხან გაგამოჩნდება და ხან იმალება—3 მან. 10) მოჯადოებული სასპიჩკე—ოთხი აბაზი. 11) მოჯადოული ფანარი და ბნელი სურათები.

ბევრი სხვა აპარატებიც მაქვს გასაყიდი მაგიკების და ჯადოსნებისა.

ვინც დუჟინობით იყიდის, ისინი უფრო იაფათ მიიღებენ ყოველ ნივთს.

იქვე არის **ცოცხალი თაგვის** გიმოფენა, რომელიც ფათნოსზე არის დადებული და ყველა კითხვაზე პასუხს აძლევს.

ესკამატორი რ. მუზიკ.

ისყიდება ალაგი გალავინის პრასზეკტზედ, შაბუროვის სახლების პირდაპირ, ანტონოვისა და თამამშოვის სახლებს შუა მდებარე. მსურველთ შეუძლიანთ ანჩისხატის უბანში, განსვენებულის ლაერენტი არდაზიანის სახლში მაიკითხონ იმისავე სახლობასთან, რომელთაც შეუძლიანთ მორიგე და გასყიდვა იმ ალაგისა.

ელემენტალური შკოლა ორივე სქესისა და ბავშვების ბაღი.

სიმონოვიჩისა

სოლოლაკზე, მეელი ინსტიტუტის ქუჩაზე, სვეზნიკოვის სახლებშია.

სწავლა დაიწყება 4 სექტემბერს. სწავლის ფასი წელიწადში 60 მან. თუ ერთი ოჯახიდამ ორი ან სამი ყმაწვილი დაიარებიან მკოლაში, მაშინ მეორე 50 მან. აძლევს წელიწადში და მესამე 40 მანეთსა. ბავშვების ბაღში სასიარულოთ თვეში 4 მანეთია. ამას გარდა შესვლისათანავე კიდევ ერთი მანეთი უნდა შეიტანონ, სხვა და სხვა მატერიალების სასყიდლათ.

დანარჩენ პირობების უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება თვითონ სიმონოვიჩისა, 4 სექტემბრამდი დილ-დილაობით და შემდეგ ნასადილევს 3 საათიდამ 5-მდი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа, 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.